

## ცისანა აბულაძე

### ოლთისის მეჩეთის წარწერები

სერგი ჯიქიას პირად არქივში (ინახება გ. წერეთლის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ინსტიტუტში) დაცულ თაბახის ხუთ გვერდზე (№100) აღბეჭდილია ოლთისში მდებარე მეჩეთის წარწერების ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანითა და კომენტარებით. ეს არის ტექსტის დადგენისა და თარგმანზე მუშაობის პროცესის ამსახველი ფურცლები. პირველ გვერდზე სათაურს – „ოლთისის მეჩეთის წარწერები“ (ხაზგასმითაა) – მოსდევს ინფორმაცია: „გადმომიგზავნა ბ-ნმა ექვთიმემ ოლთისის მეჩეთის წარწერების თურქულიდან ქართულად გადმოსათარგმნელად. თარგმანის, ჩემს მიერ აღდგენილი ტექსტისა და შენიშვნების გადათეთრებული ცალები გავუგზავნე. 9. V. 1950 წ. ს. ჯიქია“.

ბუნებრივია, სერგი ჯიქიას მიერ ე. თაყაიშვილის თხოვნის პასუხად გაგზავნილი მასალა მოვიძიე ე. თაყაიშვილის არქივში (ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში), მაგრამ იქ არ აღმოჩნდა. გავითვალისწინე მეჩეთის ისტორიული ღირებულება, არქიტექტურა, ფასადისა და ინტერიერის ჩუქურთმების წარმომავლობა – ბანასა და სხვა ქართულ ეკლესიებს რომ ამკობენ, ასევე მისი ამგებების ვინაობა და მიზანშეწონილად მივიჩნიე ს. ჯიქიას არქივში დაცული მასალის გამოქვეყნება.

მეჩეთი მდებარეობს ოლთისში (თანამედროვე ქალაქი ლტუ), მდინარე ოლთისის (მდ. ჭოროხის მარჯვენა უგრძესი შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე. მდებარეობით, ფასადისა და ინტერიერის ჩუქურთმებით თურქეთში მას ბადალი არ ეძებნება. როგორც ოსმალური ხანის ისტორიული ძეგლების მკვლევარი İbrahim Hakki Konyalı წერს: „თურქეთში ჩემს მიერ შესწავლილ ან ნანახ მეჩეთებს შორის მსგავსი არ შემხვედრია. ნამდვილად ერთადერთია“.<sup>1</sup> მეჩეთის „განსაკუთრებულობა“ საყოველთაოდ ყოფილა „ცნობილი“ (M.F Kırzioğlu).

ფერადი ნათალი ქვებით ნაშენი, ერთგუმბათიანი კვადრატული შენობა, ადრე დახურული ყოფილა კრამიტით. როგორც ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „დეტალები ამ შენობისა ერთობ საუცხოოა. სვეტები შემკობილია ლამაზი კვარცხლბეკებით და სვეტის თავებით. კვარცხლბეკებზე დადებულია სპილენძისაგან ჩამოსხმული მრგვალი ბალიშები და ამას ემყარება სვეტები, ასეთივე მრგვალი ბალიშებია სვეტის თავსა და სვეტს შორის. შესავლის კარის არე მოცულია ისეთსავე ჩუქურთმებით, როგორც ქართული ეკლესიები საუკეთესო დროისა. კერძოდ, თავი კამარა შუაში შემკობილია ფურცლოვანი ჩუქურთმით, რომელიც ბანას ეკლესიის შემკობილებას მოგვაგონებს. კამარები ისრულია. გუმბათი ტრომპებზეა დამყარებული. ფანჯრები მრგვალი, ოთხ-კუთხედი და

<sup>1</sup> İbrahim Hakki Konyalı, *Abideleri ve Kitabeleri ile ERZURUM TARİHİ* (İstanbul, 1960), 520.

მომრგვალებულნი, სულ ქართული ჩუქურთმებით არის შემკობილი. ფანჯრებში სხვა და სხვა ფერადოვანი მინებია ჩასმული. შიგნით კედლები შელესილია და შეღებილი მომწვანოდ. პატრონიკე ხისა არის დამყარებული ხის სვეტებზე, მაგრამ სვეტების კვარცხლბეკები სპილენძისა არის, ისეთივე ვალიუტებით, როგორც ბანას ეკლესიის სვეტის თავებს ამშვენებენ. მიმბეთი<sup>1</sup> შიგნით მოცულია ოთხკუთხედი ქართულად მოჩუქურთმებული ხის ჩარჩოთი. იატაკი ცემენტისა არის. ერთი სიტყვით, ჯამეს ხუროთმოძღვარს სავსებით და მოხდენილად გამოუყენებია ქართული შემკობილებანი, რომელნიც ამშვენებენ ბანას და მის არემარის ეკლესიებს“.<sup>2</sup>

მეჩეთის აღმოსავლეთ მხარეს, ეზოში იდგა შესაბამისი საკულტო და საერო ნაგებობანი: მინარეთი (რომლის შესასვლელი კარი მეჩეთის შიგნით ყოფილა), მედრესე, აბდესთლიქი (სარიტუალო განბანვის ადგილი), ასლან ფაშას სასახლე, აბანო, წისქვილი და დუქნები.

მეჩეთი აგებულია სამცხის ათაბაგთა გამაჰმადიანებული შთამომავლის, ბეგლარბეგად და ფაშად ქცეულ არსლან/ასლან ფაშას მიერ (ქართულ წერილობით წყაროებში იგი ასლან ფაშად იხსენიება). ოსმალური და ქართული წყაროების მონაცემები მისი გენეალოგიის შესახებ განსხვავებულია. კერძოდ, თურქი ავტორების მიხედვით ასლანი არის საფარ ფაშას შვილი და რუსტემის ბიძაშვილი,<sup>3</sup> სხვაგან იუსუფ ფაშას უმცროსი ვაჟი და რუსტემ ფაშას ძმაა.<sup>4</sup> ვახუშტი კი როსტომ ფაშას მემკვიდრედ ასახელებს და ვრცლად აღწერს მის საქმიანობას.<sup>5</sup> ახალციხის ფაშას ოფიციალურად ევალებოდა დასავლეთ საქართველოში მიმდინარე პროცესებისათვის თვალყურის მიდევნება. ამ მოვალეობას „ვერცხლისმოყვარე“ ასლან ფაშა წარმატებით იყენებდა ოდიშის, გურიისა და აფხაზეთის მთავრებთან საურთიერთოდ და მათგან ქრთამის ასაღებად. აქტიურად ერეოდა იმერეთის სამეფო კარის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ცდილობდა ქართლის მეფის ვახტანგ V-ის ძის – არჩილის იმერეთის სამეფო ტახტზე დასმას. იმერეთში გაჩაღებული მომხვეჭველობისა და პოლიტიკური საქმიანობისათვის იგი ერზერუმის ფაშამ დაასმინა სულთან მეჰმედ IV-თან (1648-1687). სულთნის ბრძანებით 1680 წელს ქუთაისთან ახლოს, სოფ. კვახჭირში მას თავი მოკვეთეს.<sup>6</sup> მისი თავი სტამბოლში სულთნის სასახლის

<sup>1</sup> მიმბეთს ე.თაყაიშვილი უწოდებს მ ი ჰ რ ა ბ ს - მლოცველთათვის მექისაკენ მიმართულების მანიშნებელ ნიშას.

<sup>2</sup> ექვთიმე თაყაიშვილი, *თხზულებანი*, ტ. I (თბილისი, 2016), 81.

<sup>3</sup> Mustafa Adil Özder, *Tarihte Çıldır Atabeyleri ve Torunları*, (Erzurum, 1971), 87-88.

<sup>4</sup> Mehmet İnbaşı, *XVIII. Yüzyılın İkinci Yarısında Çıldır Eyaleti ve İdarecileri*. ელვერსია <http://docplayer.biz.tr/36419956-Xviii-yuzyilin-ikinci-yarisinda-cildir-eyaleti-ve-idarecileri.html>

<sup>5</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება ტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1973), 729-32.

<sup>6</sup> ბატონიშვილი ვახუშტი, *აღწერა სამეფოსა საქართველოსა*, ქართლის ცხოვრება ტ. IV (თბილისი, 1973), 731; შ. ლომსაძე, *სამცხე-ჯავახეთი XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე* (თბილისი, 1978), 45.

წინ დიდხანს ეკიდა.<sup>1</sup> ამგვარად, ოსმალეთის ადმინისტრაციულ ელიტაში სამსახურმა – ვეზირი, ყარსის მმართველი, ჩილდირის ბეგლარბეგი, მაჰმადის რჯულის სადიდებლად ოლთისში მეჩეთისა და მედრესეს აგებამ თავის მოკვეთას ვერ ააცდინა.

ე. თაყაიშვილს ს. ჯიქიასათვის ქართულად სათარგმნელად გაუგზავნია ვინმე ქათიბ (მწერალ) კაილას (کاتب قایل) მიერ 1907 წელს კოლა ოლთისში და ჩანგლში ექსპედიციის მუშაობის დროს გადმოწერილი ტექსტი. ქათიბ კაილამ თაყაიშვილის ინტერესების შესაბამისად გადმოიღო მეჩეთის ეზოს კარისა და მეჩეთში მთავარი შესასვლელი კარის თავზე არსებული სააღმშენებლო წარწერები. უყურადღებოდ დატოვა ოლთისის მუფთის მეჰმედ ეფენდის ოთხსტრიქონიანი სავაკუფო წარწერა.

ქტიტორული წარწერები დაწერილია კალიგრაფიული ნასხით, ბეითის ფორმით.

ჩვენ ხელთ არსებული მასალიდან პირველ გვერდზე სერგი ჯიქიას მიერ ზემოთ მოცემული ინფორმაციის გარდა, მის მიერვეა ჩამოწერილი არაბული ანბანი შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობებით, ანუ ებჯედით. შედეგად დადგენილია ერთ-ერთი წარწერის ებჯედით გამოხატული თარიღი 1077 (1666-67). მეჩეთის წარწერების გარდა, ცალკე ფურცელზე წარმოდგენილია ს. ჯიქიას ხელით ნაწერი „ვითირის“ (تر – სალამოს ნამაზის შემდეგ შესასრულებელი არასავალდებულო ლოცვა) სამი არაქათი. მათზე არ ვჩერდებით, რადგან მეჩეთის წარწერებთან საერთო არაფერი აქვს.

ქვემოთ ქვეყნდება ს. ჯიქიას პირად არქივში დაცული “ოლთისის მეჩეთის წარწერები”. ტექსტი ტრანსლიტირებულია ჩემ მიერ თარგმანის გათვალისწინებით, ხოლო შენიშვნებში მცირეოდენი ცვლილებები შეტანილია წარწერების რ. ყავრელიშვილის მიერ გადაღებულ ფოტოებზე დაყრდნობით.

## გვ.2 .მეჩეთის მარჯვნივ ეზოში [? \* შესასვლელი კარის ზემოთ წარწერაა:

[2] نه عجب یرده قلدی بیت الله

[4] اولور ایچنده ذکر فکر الله

[6] وضع مقبولی طرز قدس الله

[8] دیدی تاریخن فاذ کرو بالله

[1] ارسلان پاشا جاحد فی الله

[3] جنّت الماوی صانکم اطرافی

[5] نهر جاریسی کویبا<sup>2</sup> کوثر

[7] هاتف غیبین استتم تاریخ

31.075

<sup>1</sup> *Tarihi kalımları ile ÇILDIR* (Ankara, 2001), 187-189.

\* საეჭვო არ არის, წარწერა ნამდვილად მეჩეთის მარჯვნივ მდებარე ეზოს კარზე იყო წარმოდგენილი. ც.ა.

<sup>2</sup> ამ სიტყვაში ორი ی საჭირო არ არის. შესაძლებელია ეს წარწერის გადმომღების შეცდომა იყოს (არა, წარწერაშიც ასეა. იხ. ფოტო. ც.ა).

<sup>3</sup> 1075 ჩვენი წელთაღრიცხვის = 1659-1660 წელს (არა, 1664 წელია. ც.ა).

1 'Arslan Paşa cahid fi-llahi  
 3 Cennet al-mavi sankim etrafi  
 5 Nehri cârîsî güya kevser  
 7 Hatifi ğayibden istedim tarih

2 Ne aceb yerde kıldı beyit ullah  
 4 Olur içinde zikr-i fikr ullah  
 6 Vazi makbulu tarzı kuds allah  
 8 Dedi tarihin faz kuru billah'

1. ალლაჰის მადიდებელმა არსლან ფაშამ
2. რა საუცხოვო ადგილას გააშენა ღვთის სახლი
3. მისი მიდამოები, თითქოს, ლურჯი სამოთხეა
4. მასში[მეჩეთში] ადიდებენ ალლაჰს, მისკენ [მიმართავენ] ფიქრს
5. მასთან ჩამავალი მდინარე სამოთხის წყაროა თითქოს
6. მდებარეობა საამური აქვს, სანახაობა[მისი] აკურთხოს ალლაჰმა
7. უცნობი ადგილიდან მომავალ ხმას თარიღი ვთხოვე
8. მითხრა თარიღი: [ فاز کرو با الله ]<sup>1</sup> ადიდეთ ალაჰი

1075

### წმინდა მეჩეთის კარის ზემოთ მოთავსებული წარწერა

- |                                  |   |
|----------------------------------|---|
| [2] نه عجب یرده قلدی بیت الله    | [1] ارسلان پاشا جاهد <sup>2</sup> فی الله |
| [4] اولور ایچنده نکر فکر الله    | [3] جنت الماوی صانکم <sup>3</sup> اطرافی  |
| [6] وضع مقبولی طرز قدس الله      | [5] نهر جاریسی کویا <sup>4</sup> کوثر     |
| [8] نیدی تاریخن فاز کروا با الله | [7] هاتف غیبندن استدم تاریخ               |

فاز کروا با الله  
 تاریخ

ამ სტრიქონიდან კვლავ გამეორებულია სიტყვები „ადიდეთ ალლაჰი“ და დართული აქვს 'თარიღი' (თუ ეს გამეორება წარწერის გადმომღებს არ ეკუთვნის)<sup>5</sup>

<sup>1</sup> იხ. აქვე მეჩეთის კარის ზემოთ მოთავსებული ასეთივე შინაარსის წარწერა.  
<sup>2</sup> გადმონაწერში جاهد სიტყვის ორი უკანასკნელი [اهد] ასო გამორჩენილია, ალბათ, შეცდომით. აქ جاهد უნდა იყოს, ეს კონტექსტიდან ჩანს და სწორედ ასეთივე შინაარსის მეორე წარწერის ტექსტიდანაც ცხადია (იხ. აქვე).  
<sup>3</sup> წარწერის გადმოღებულ პირზე صانکم სიტყვაში ك ასოს ქვემოთ დასმულია ორი წერტილი, რაც საჭირო არაა.  
<sup>4</sup> كویا სიტყვაში ორი ی -ა დაწერილი - كویا, რაც შეცდომაა (არა, წარწერაშიც ასეა ც.ა).  
<sup>5</sup> წარწერის გადმომღებს ეკუთვნის. შდრ წარწერის ფოტო – ც. ა.

# „მეჩეთის შესასვლელი კარის თაღის ქვემოთ არსებული წარწერა“

- |   |  |
|---|--|
| 2 عجب موضعه معبد <sup>1</sup> قلدى انشا     | 1 بو جامع صاحبى ارسلان پاشا                  |
| 4 كه مستحکم اساسى <sup>3</sup> كعبه انشا    | 3 تعلى الله عجب على <sup>2</sup> [?] بنادر   |
| 6 دعا ايچون ملانك جمله حورا                 | 5 اوقنده قجه اذانى جمع اولورلى <sup>4</sup>  |
| 8 اوقند قجه ايچنده تحدى و اسرا <sup>5</sup> | 7 الهى تا فلك باقى و باقى                    |
| 10 كوزل جامع جزاك الله خيراً                | 9 چيقوب بيتدن ديدى تاريخن اوتال <sup>6</sup> |

## کاتب قایله ქათიბი კაილა

- |                                       |                                    |
|---------------------------------------|------------------------------------|
| 1. Bu câmi' sahibi Arslan Paşa        | 2. Aceb mevzide ma'bedi kıldı inşâ |
| 3. Te'ali' ullah aceb âli bünyad      | 4. Ki müstahkem esası Kâbe-Asa     |
| 5. Okudukça ezânı cem' olurlar        | 6. Dua için melâik cümle hora      |
| 7. İlâhî ta felek bâkı ve bâkı        | 8. Okudukça içinde tahdi ve esra   |
| 9. Çıkup beytden didi tarih nüh evtad | 10. Güzel câmi cezâk allahü hayra  |

## Katib Kayıla 1076

ამ მეჩეთის პატრონმა არსლან ფაშამ  
საუცხოვო ადგილას ააშენა ტაძარი,  
იგი უზენაესი ალლაჰისათვის მალალი ბინაა,  
რომელსაც მტკიცე საძირკველი აქვს.  
იგია წინასწარმეტყველთა ქააბა.  
ეზანი რომ წაიკითხება, შეგროვდებიან  
ლოცვად ანგელოზები და ყველა ჰური,  
გალობას საუკუნოს, სამუდამოს [ალავლენენ] ზეცამდე  
როცა მასში წაკითხულ იქნა ღვთის ერთიანობის შესახებ  
საგალობელი და.... [?]  
გამოვიდა [ალლაჰის] სახლიდან თქვა თარიღი  
მშვენიერო მეჩეთო, ალლაჰმა კეთილად დაგაჯილდოვა.  
მწერალი კაილა 1076

<sup>1</sup> ამ სიტყვაში ب -ს ზემოთ შეცდომით ორწერტილია დასმული.

<sup>2</sup> გადმონაწერში მხოლოდ ع მარცვალაია სტრიქონში მოყვანილი და ზემოთ ى არა აქვს. ვფიქრობ აქ على სიტყვა უნდა ყოფილიყო. კონტექსტიც ამას უჭერს მხარს.

<sup>3</sup> اساسى ამ სიტყვაში, ალბათ, გადამწერის შეცდომით პირველ س ასოს ზემოდან ორწერტილი უზის.

<sup>4</sup> ამ სიტყვის ბოლოში ى წერია, რაც აშკარა შეცდომაა.

<sup>5</sup> ეს უკანასკნელი სიტყვა დამახინჯებით უნდა იყოს გადმონერილი. ამ კონტექსტში იგი გაუგებარია.

<sup>6</sup> ეს სიტყვაც დამახინჯებულადაა გადმონერილი, ბოლო ასო ძლიერ გაურკვეველია (აქ "اوتاد" წერია - ც.ა).

# წმინდა მეჩეთის მარცხენა კედლის კარის ზემოთ მოთავსებული წარწერა:

1. عبير ايدنلره بو قبودن مفيد<sup>1</sup> اوله الله

2. محمد اشهد ان لا اله الا الله

3. تاريخ باب سنه 1081

1. Ubur edenlere bu kapudan müfid ola Allah

2. Muhammed eşhad in la ila ala allah

3. Tarihi bab sene 1081

1. ამ კარზე გამვლელებს შეეწიოს ალლაჰი.

2. მუჰამმადი მოწმეა, რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალლაჰისა.

3. თარიღი კარისა 1081<sup>2</sup> წელი

\*\*\*

მეჩეთის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ ინფორმაციისათვის მივმართე პროფესორ როინ ყავრელიშვილს. იგი ჩვეული გულისხმიერებითა და პუნქტუალობით მოეკიდა ჩემს თხოვნას და 2018 წლის 18 მაისს პროფ. ერდოღან ალთინკაინთან ერთად ეწვია ოლთისს. მათგან მოწოდებული ინფორმაცია ასეთია:

1. მეჩეთი მოქმედია.

2. რესტავრაციის შედეგად შეცვლილია როგორც ეზოს კარი, ისე ეზოში მდებარე საკულტო ნაგებობანი.

3. დაკარგულია ეზოს კარის 1664 წლით დათარიღებული წარწერა. ფილები მოუხსნიათ და ახალი დაუდევთ. ეზოში შემავალი კარის წარწერის ბედი უცნობია.

4. აღარ ჩანს მეჩეთის მარცხენა მხარეს 1670-71 წლებით დათარიღებული ორსტრიქონიანი წარწერა.

5. გაცხოველებულია მეჩეთში შესასვლელი მთავარი კარის თავსა და თაღის ქვეშ ისტორიულად არსებული ქტიტორული წარწერები.

6. პროფ. როინ ყავრელიშვილმა მოგვანოდა მის მიერვე გადაღებული 31 ფოტო, საიდანაც აშკარაა, რომ მეჩეთის ეზოში დგას თანამედროვე საკულტო ნაგებობანი.

სტატიას ერთვის მეჩეთის შესასვლელი კარის თავზე 1664, 1665 წლებით დათარიღებული ქტიტორული წარწერების ფოტოებს.

---

<sup>1</sup> თუმცა გადმოწერილ ტექსტში ამ სიტყვის ბოლოში „ე“ წერია, მაგრამ ეს შეცდომა უნდა იყოს და „ა“ ასოდ უნდა გასწორდეს. კონტექსტით აქ უნდა იყოს مفيد სიტყვა.

<sup>2</sup> ჩვენი წელთაღრიცხვით 1670-1671 წელი.



### ***Tsisana Abuladze***

#### **The Inscriptions of the Oltisi Mosque**

Sergi Jikia's personal archive comprises material under the title „Oltisi Mosque Inscriptions” (5 pages) N100 which is published in this article. The text was copied by a certain Katib Kaila presumably during the 1907 expedition in Kola-Oltisi and Changli. The Georgian translation of the inscriptions, commissioned by Ekvtime Taqaishvili, was done and annotated by Sergi Jikia (The text has been transliterated by me Ts. Abuladze).

Oltisi mosque was built by Aslan Pasha, a descendant of the Samtskhe Atabags who had converted to Islam, in 1664-1665. A single-nave church was distinguished with its location, facade and interior ornaments from other analogous structures in Turkey. This distinction was due to the influence of Georgian architecture. Today the mosque is multi-nave after the restoration-conservation works have been done. The inscriptions at the top of the front door and the door in the left wall of the mosque are no longer visible. There are some iconic modern structures in the yard. The photos of the front door inscriptions published in the article were taken and sent to me (with other necessary information ) by Prof. Roin Kavrelishvili.